საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდო 2027

საინფორმაციო შეხვედრა
26 ოქტომბერი

დღის წესრიგი

- ფინანსური განათლება და ეროვნული ბანკი
- კონკურსის პირობები
- კითხვა-პასუხი
- ფინედუს რესურსები მასწავლებლებისთვის



შეხვედრა ჩაიწერება

რა არის ფინანსური განათლება?

- ცოდნა
- დამოკიდებულებები
- ქცევა



ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება → ფინანსური კეთილდღეობის მიღწევა

რატომ არის მნიშვნელოვანი ფინანსური განათლება?

ფინანსურად განათლებულ ადამიანებს:



უკეთ ესმით ფინანსური პროდუქტების არსი



შეუძლიათ გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი დანაზოგებისა და ინვესტიციების განხორციელებაზე



იღებენ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს სესხებთან თუ სხვა ფინანსურ საკითხებთან მიმართებაში



შეუძლიათ დაიცვან საკუთარი, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები და იციან ვის მიმართონ ინფორმაციისთვის



იციან, როგორ ამოიცნონ და აირიდონ თავიდან ფინანსური თაღლითობა



გეგმავენ მომავლისთვის და ზრუნავენ ფინანსური კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებაზე

რატომ ახალგაზრდა თაობა?

ფინანსური განათლება ადრეული ასაკიდან, სკოლაშივე უნდა იწყებოდეს (OECD)

- პირადი ფინანსების მართვის ჩვევის გამომუშავება უფრო ადვილია ახალგაზრდა ასაკში;
- ზრდასრულ ასაკში გაცილებით რთულია ადამიანის დამოკიდებულებების, ქცევისა და კულტურის თავისებურებების შეცვლა;
- ფინანსური განათლების დონე ზრდასრულ მოსახლეობაშიც დაბალია - სკოლის კურიკულუმში ინტეგრირება ყველა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას ადრეული ასაკიდანვე გამოიმუშაონ ჯანსაღი ფინანსური ჩვევები;
- სკოლის კურიკულუმში ინტეგრირება წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას - ე.წ. „გამჭოლი კომპეტენცია“ და საგნებში ინტეგრირება

ფინანსური განათლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში

ფინანსური წიგნიერება - 8 პრიორიტეტული თემიდან ერთ-ერთი

- **დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება (III-IV)**

გადაწყვეტილების მიღება, მიზნების შესაბამისად რაციონალური მოქმედება, რესურსების სწორად დაგეგმვა, ხარჯვა და დაზოგვა

- **საბაზო საფეხური - მოქალაქეობა (VII-IX)**

სამეწარმეო და ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა

- **საშუალო საფეხური - მოქალაქეობა (XII)**

ეკონომიკური პროცესების პირად ფინანსურ კეთილდღეობაზე ზეგავლენის შესწავლა, ფინანსური თაღლითობისა და ფინანსური უსაფრთხოების საკითხები

- 2026-2027 სასწავლო წლიდან - ცალკე, **არჩევითი საგანი** საშუალო საფეხურზე

ფინანსური განათლება და ეროვნული ბანკი

საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური სტაბილურობა - ეროვნული ბანკის მანდატი

- რეგულაცია + განათლება = დაცული მომხმარებელი
- ნდობა საფინანსო სექტორის მიმართ

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023

- **პრიორიტეტული მიმართულება** - ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება
- **მისაღწევი ამოცანა** - სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელშეწყობა



ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ

www.finedu.gov.ge

კონკურსის იდეა და მიზანი

კონკურსის მთავარი იდეა - სკოლებში ფინანსური განათლების გაძლიერების ხელშეწყობა და მასწავლებლების აღიარება

კონკურსის ამოცანები:

- მასწავლებელთა მოტივაციის ზრდა ფინანსური განათლების სწავლების მიმართ
- ინოვაციური სასწავლო მეთოდების წახალისება და გავრცელება
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
- მოსწავლეების ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლება



კონკურსის პირობები

კონკურსის ჯილდო

- საუკეთესო ათეული
- 5 ფინალისტი მასწავლებელი
- 1 გამარჯვებული მასწავლებელი

5000 ლარი
გამარჯვებული

1000 ლარი
ფინალისტი



ჯილდოს 2026 წლის ფინალისტები









ჯილდოს 2026 წლის გამარჯვებული



კონკურსის ვადები



კონკურსში მონაწილეობის პირობები

- უნდა იყოთ საჯარო ან კერძო სკოლის ნებისმიერი საგნის მოქმედი მასწავლებელი
- არ უნდა იყოთ ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდოს წინა გამარჯვებული
- უნდა ახორციელებდეთ ფინანსური განათლების ინიციატივებს 2026-27 სასწ. წელს
- უნდა შეავსოთ და გამოაგზავნოთ საკონკურსო განაცხადის ფორმა

ფინანსური განათლების ინიციატივები

ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების ფინანსური ცოდნისა და უნარების განვითარებას და პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის ჩამოყალიბებას. ასევე, შესაბამის შემთხვევებში, ფინანსური განათლების ცნობიერების ამაღლებას სასკოლო საზოგადოებაში.

პროექტი	გაკვეთილი	კონკურსი	თამაში	სიმულაცია
კლუბი	ვიდეო	ვებ-გვერდი	სასწავლო რესურსი	და ა.შ.

ფინანსური განათლების ინიციატივები

მოიცავს 2 მიმართულებას:

არსებულ ინიციატივებში მონაწილეობა - ფინედუს და/ან სხვა ორგანიზაციის ინიციატივების განხორციელება/გამოყენება

საკუთარი ინიციატივის განხორციელება ან არსებულის არსებითი ადაპტაცია - საკუთარი იდეა ან არსებულის ისეთი გარდაქმნა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი სტრუქტურა, მეთოდოლოგია ან გამოყენება

შეფასების კრიტერიუმები

სწავლების მოსალოდნელი გავლენა (20%)	მოსწავლეთა ფინანსური ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება
შემოქმედებითი, ინტერაქციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენება (20%)	მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, კრეატიული, ინტერაქციული და ინოვაციური მიდგომების მიზნობრივი გამოყენება
მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგება (20%)	ინიციატივის ასაკთან/საფეხურთან შესაბამისობა, საჭიროების შემთხვევაში საგნებთან ინტეგრირება და სსსმ მოსწავლეების ჩართულობის გათვალისწინება
შექმნილი/არსებითად ადაპტირებული რესურსების ხარისხი (15%)	ფინანსური განათლების რესურსის შესაბამისობა მიზანთან, შინაარსის სიზუსტე და პრაქტიკული გამოყენებადობა
მდგრადობა და გავრცელება (15%)	საქმიანობის განმეორებით განხორციელების შესაძლებლობა სხვის მიერ, მოსწავლეებში გავრცელება და გამოცდილების გაზიარება სხვა მასწავლებლებთან, სკოლებთან ან სასკოლო საზოგადოებასთან.
არსებულ ინიციატივებში მონაწილეობა (10%)	ფინანსური განათლების შესახებ არსებული პროგრამების/ინიციატივების განხორციელების მოცულობა, ინტენსივობა, დაფარვა და ხარისხი;

საკონკურსო განაცხადის გაგზავნა

- ჩამოტვირთეთ საკონკურსო განაცხადის ფორმა კონკურსის პირობებიდან
- შეავსეთ სრულყოფილად და ბმულის სახით დაურთეთ შესაბამისი მასალები
- შევსებული ფორმა (MS Word-ის ფორმატში) გამოაგზავნეთ info@finedu.gov.ge-ზე
- წერილის სათაურად მიუთითეთ: საკონკურსო განაცხადი - ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდო
- განაცხადის გამოგზავნის პერიოდია 2027 წლის 15 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით

საკონკურსო განაცხადის შევსების ზოგადი წესები

- უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- არ უნდა იყოს კომერციული, დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი და არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს;
- არ უნდა მოიცავდეს ფიზიკური პირების, მათ შორის მოსწავლეების იდენტიფიცირებად ფოტო/ვიდეო მასალას;
- აღწერილი უნდა იყოს მხოლოდ 2026 წლის 15 სექტემბრიდან 2027 წლის 15 მაისამდე განხორციელებული ინიციატივები;
- დაცული უნდა იყოს მოცემული სიტყვების ლიმიტი;
- ინიციატივების ამსახველი მასალა / შექმნილი რესურსები წარმოდგენილი უნდა იყოს ბმულით (Google Drive, OneDrive და სხვ.), წვდომით „ნებისმიერი, ვისაც აქვს ბმული“;
- შეფასებისთვის განკუთვნილ ინფორმაციაში (ინიციატივების აღწერა, ამსახველი მასალა, რესურსები) არ უნდა ფიქსირდებოდეს თქვენი სახელი და გვარი და სკოლის დასახელება.

საკონკურსო განაცხადის შინაარსი - ნაწილი 1

1. ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

მონაცემი	პასუხი
სახელი და გვარი	
საგანი/პოზიცია	
სკოლის სრული დასახელება	
ელ. ფოსტა	
ტელეფონის ნომერი	
მუნიციპალიტეტი / ქალაქი	

საკონკურსო განაცხადის შინაარსი - ნაწილი 2

2. საქმიანობის მოკლე შეჯამება (2026-2027 წლის ჯამური)

მონაცემი	რაოდენობა
სულ მოსწავლეები (უნიკალური)	
მათ შორის, სსსმ მოსწავლეები	
სულ ჩართული სკოლები (უნიკალური)	
სულ ჩართული მასწავლებლები (უნიკალური)	
ჩართული მშობლები/თემის წარმომადგენლები	
სულ განხორციელებული აქტივობები	

საკონკურსო განაცხადის შინაარსი - ნაწილი 3

3. არსებულ ინიციატივებში მონაწილეობა

ინიციატივა	ორგანიზაცია	მონიშნეთ მონაწილეობა	ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	განხორციელების პერიოდი
ფინედუს ინიციატივები				
სკოლა-ბანკის გაკვეთილები	ფინედუ	☐		
რა შეცვალეთ/დაამატეთ? (მაქს. 30 სიტყვა, დადებითი პასუხის შემთხვევაში) ამსახველი მასალა (ბმული):				
სხვა ინიციატივები				
სხვა ორგანიზაციის ინიციატივა (მიუთითეთ)		☐		
რა შეცვალეთ/დამაატეთ? (მაქს. 30 სიტყვა, დადებითი პასუხის შემთხვევაში) ამსახველი მასალა (ბმული):				
სხვა მასწავლებლის/სკოლის ინიციატივა (მიუთითეთ)		☐		
რა შეცვალეთ/დამაატეთ? (მაქს. 30 სიტყვა, დადებითი პასუხის შემთხვევაში) ამსახველი მასალა (ბმული):				

საკონკურსო განაცხადის შინაარსი - ნაწილი 4

4. საკუთარი ან არსებითად ადაპტირებული სხვა ინიციატივები

- თქვენი საერთო მიდგომა
  - მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობის საერთო მიდგომა ფინანსური განათლების მიმართულებით 2026-2027 სასწავლო წელს. რა იყო თქვენი მთავარი მიზანი და რა ცვლილების მიღწევას ცდილობდით მოსწავლეებში? (მაქს. 50 სიტყვა)

- გამოყენებული / შექმნილი ფორმატები და ფინანსური განათლების საკითხები
  - მონიშნეთ: გაკვეთილი/სერია; ინტეგრირებული გაკვეთილი/სერია; პროექტი/კეთებით სწავლება; კლუბი/გრძელვადიანი ინიციატივა; თამაში/სიმულაცია; კონკურსი; სასწავლო რესურსი; ვებგვერდი/ბლოგი; ვიდეო; სხვა
  - მონიშნეთ: ბიუჯეტირება; დაზოგვა; ინვესტირება; ფინანსური პროდუქტები; ფინანსური სისტემა; მომხმარებლის უფლებები; ფინანსური უსაფრთხოება; დაზღვევა; სესხება; ფული; მეწარმეობა; სხვა

საკონკურსო განაცხადის შინაარსი - ნაწილი 4

4. საკუთარი ან არსებითად ადაპტირებული სხვა ინიციატივები

- ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივები (მაქსიმუმ 3)

ინიციატივა #1	
ინიციატივის სახელწოდება	
ინიციატივის მიზანი (მაქს. 30 სიტყვა)	რა უნდა იცოდნენ, შეეძლოთ ან როგორ უნდა მოიქცნენ მოსწავლეები ინიციატივის შედეგად?
მოსწავლეთა რაოდენობა	
მონიშნეთ ყველა შესაბამისი კლასი	☐ I ☐ II ☐ III ☐ IV ☐ V ☐ VI ☐ VII ☐ VIII ☐ IX ☐ X ☐ XI ☐ XII
ინიციატივის აღწერა (მაქს. 50 სიტყვა)	
ინიციატივის შედეგი/გავლენა (მაქს. 50 სიტყვა)	გაზომეთ თუ არა შედეგი / გავლენა? კი ☐ არა ☐ როგორ გაზომეთ, რა გამოიყენეთ? რა გაჩვენათ აქტივობამ?
ინიციატივის მდგრადობა (მაქს. 30 სიტყვა)	როგორ გაგრძელდება ინიციატივა მომავალში?
ინიციატივის გავრცელება (მაქს. 30 სიტყვა)	გაუზიარეთ თუ არა ინიციატივა სასკოლო საზოგადოებას? კი ☐ არა ☐ მონიშნეთ ყველა შესაბამისი: სკოლა ☐ მასწავლებელი ☐მშობელი ☐ დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ და რამდენს?
ინიციატივასთან დაკავშირებული თქვენ მიერ შექმნილი/არსებითად ადაპტირებული რესურსების ბმული	რესურსად შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაკვეთილის გეგმა, თამაში, ინსტრუქცია, ბროშურა, პრეზენტაცია, ვიდეო მასში მონაწილე ფიზიკური პირების, მათ შორის, მოსწავლის იდენტიფიცირების გარეშე, ვებგვერდი და ა.შ.
ამსახველი მასალის ბმული	ამსახველი მასალა შეიძლება იყოს პრე/პოსტ ტესტების შედეგები, მოსწავლის ნამუშევარი, მოსწავლის უკუკავშირი, სხვა სკოლაში/სხვა მასწავლებლის მიერ გამოყენება, ინფორმაციის გავრცელება სკოლის მიერ, პოსტი, სტატია, ინიციატივის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა ფიზიკური პირების, მათ შორის, მოსწავლის იდენტიფიცირების გარეშე და ა.შ.

საავტორო უფლებების დაცვა

- მასალებზე საავტორო უფლება გადაეცემა სებ-სა და ფინედუს
- შესაძლოა გამოქვეყნდეს სებ-ისა და ფინედუს ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში - საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის
- ავტორის სათანადო მითითებით

სასარგებლო ინფორმაცია

- ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია: https://finedu.gov.ge/ge/finansuri-ganatlebis-strategia-1

- ფინედუს გვერდი მასწავლებლებისთვის: https://finedu.gov.ge/ge/mastsavleblebistvis

info@finedu.gov.ge

(+995) 0322 406 406

www.finedu.gov.ge

შეკითხვები?

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფინედუს რესურსები მასწავლებლებისთვის

ტრენინგი: სკოლა-ბანკი



2 დღიანი ტრენინგი (16 სთ)

- ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის
- მხოლოდ პირისპირ
- რეგისტრაცია ცხადდება ფინედუზე
- სერტიფიკატები + სასწავლო მასალა


ტრენინგი: ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

5 დღიანი ტრენინგი (18 სთ)



- მოქალაქეობაში ინტეგრირებულ საკითხებზე
- Online და პირისპირ
- რეგისტრაცია ცხადდება ფინედუზე
- სერტიფიკატები + სასწავლო მასალა

ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში



კონკურსი სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის

- ფინანსური განათლების პროექტის შემუშავება
- ბიბლიოთეკის ფინედუს რესურსებით აღჭურვა
- წიგნის საერთაშორისო დღე - 23 აპრილი
- პირობები ქვეყნდება ფინედუზე

“მოიწვიე ფინედუ კლასში“



ფინედუს დესპანების ვიზიტები სკოლაში

- ინტერაქტიული გაკვეთილები V-XII კლ.
- მარტი: ფულის გლობალური კვირეული
- ოქტომბერი: დაზოგვის მსოფლიო დღე
- რეგისტრაცია ცხადდება ფინედუზე

“გახდი ფინედუს დესპანი მასწავლებელი“



ფინედუს მასალებით გაკვეთილის ჩატარება

- ინტერაქტიული გაკვეთილები V-XII კლ.
- მარტი: ფულის გლობალური კვირეული
- ოქტომბერი: დაზოგვის მსოფლიო დღე
- პირობები ქვეყნდება ფინედუზე

კლუბის ვიზიტი სებში

შეხვედრა ფინედუს წარმომადგენელთან



- ინტერაქტიული შეხვედრა
- VIII-XII კლასის მოსწავლეებისთვის
- რეგისტრაცია ცხადდება ფინედუზე

GLOBAL MONEY WEEK

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფინედუ

კონკურსები

მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის



- სხვადასხვა კონკურსი
- პირობები ქვეყნდება ფინედუზე

რესურსები მასწავლებლებისთვის


ფინედუს გვერდი მასწავლებლებისთვის:





ფეისბუქ ჯგუფი მასწავლებლებისთვის:

რესურსები მასწავლებლებისთვის

სახელმძღვანელოები









რესურსები მასწავლებლებისთვის

კომიქსები









რესურსები მასწავლებლებისთვის

ბროშურები







რესურსები მასწავლებლებისთვის

გაკვეთილის გეგმები და თამაშები


დაწყებითი საფეხური

გაკვეთილი #2: რა არის დაზოგვა?

50 წთ

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები იმსჯელებენ საჭიროებასა და სურვილებს შორის სხვაობაზე, გაფიქრდებიან ფინანსურ მიზნებზე და დაზოგვაზე - როგორც ფინანსური მიზნების მიღწევის გზაზე.

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები განასხვავებენ „მინდას“ და „მჭირდებას“;
- მოსწავლეები დაფიქრდებიან მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ დაზოგვის მნიშვნელობას

საჭირო მასალები

- დანართი - სურვილებისა და საჭიროებების ბარათები;
- დანართი - კალათის ნიმუში;
- კომიქსი - დაგროვების ამბავი;
- დანართი - გოჭი ყულაბა;
- მაკრატლები, წებოები


მომზადება


- ნინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით სურვილების და საჭიროებების ბარათები დანართიდან, ასევე ამობეჭდეთ და გამოჭერით კალათის შაბლონებიც.
- ნინასწარ ამობეჭდეთ კომიქსის - „დაგროვების ამბავის“ ელექტრონული ვერსია;
- ამობეჭდეთ გოჭი ყულაბის შაბლონი დანართიდან A3 ფორმატით, თითოეული მოსწავლისთვის

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების სახელმძღვანელო
- კომიქსი - დაგროვების ამბავი
- გოჭი ყულაბა

დანყებითი საფეხური (I-II კლასი) - გაკვეთილი #2: რა არის დაზოგვა?












რესურსები მასწავლებლებისთვის


ვიდეო გაკვეთილები
















მადლობა ყურადღებისთვის

შეკითხვები?